საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

29 ოქტომბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

შესყიდვის საგანი: ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 m^2 მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N950; 16.09.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

- -მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- -კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- - მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- -ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- - კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
- -კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- - გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- - ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- - დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- - მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

1. ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 m^2 მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ **(N950; 16.09.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N950; 16.09.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N950; 16.09.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 3 (სამი) კონკურსანტი:

1. **შპს "გეომეფი;**
2. **შპს „ლაინ ჯორჯია";**
3. **შპს „Live Design";**

სატენდეორ (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. **(N950; 16.09.2013)**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს:

1. **შპს "გეომეფი- 67 440 (სამოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცი);**
2. **შპს „ლაინ ჯორჯია"- 68 000 (სამოცდარვა ათასი);**
3. **შპს „Live Design" - 68 000 (სამოცდარვა ათასი);**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:
კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამმა ორგანიზაციამ და მათ მიერ წარმოდგენილი კონცეფციების შეფასება ასეთია:

1. **შპს „გეომეფი"-ს** მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე არსებული ორი შენობის დემონტაჟს და მთლიან ფართზე 4 ექვსსართულიანი და 4 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებას ბინების საერთო რაოდენობით- **288** ერთეული; კომერციული ფართი- 2501 m^2. ასევე სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედნების, შენობებს შორის სკვერებისა და ბინამესაკუთრეთა ავტომანქანების ღია სადგომის მოწყობას.
2. **შპს. „ლაინ ჯორჯია"-ს** მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე არსებული ორი შენობის დემონტაჟს და მთლიან ფართზე 2 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებას ბინების საერთო რაოდენობით - **150** ერთეული, ასევე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკისა და ბინამესაკუთრეთა ავტომანქანების ღია სადგომების მოწყობას.
3. **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე არსებული ორი შენობის დემონტაჟს და მთლიან ფართზე 13 ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებას ბინების საერთო რაოდენობით - **553** ერთეული, მცირე ზომის სპორტული მოედნებისა და ბინამესაკუთრეთა ავტომანქანების ღია სადგომების მოწყობას.

ვინაიდან კონცეფციების განხილვისას ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ბინების რაოდენობა წარმოდგენილი სამი კონცეფციიდან მისაღებია, **შპს „Live Design"-ის** საკონკურსო წინადადება, რომელმაც წარმოდგინა ბინათა ყველაზე მეტი - **553** ერთეული, ხოლო დანარჩენი ორი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციები ბინათა რაოდენობის სიმცირის გამო, მიუღებლად იქნა მიჩნეული.

სატენდერო (საკონკურსო) კომისის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას მოახსენა, რომ **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული **შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;**

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა აღნიშნეს, რომ **შპს „Live Design"-ის** საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და ვინაიდან კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სამი კონცეფციიდან მისაღებია **შპს „Live Design"-ის** საკონკურსო წინადადება, რომელიც ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, მიზანშეწონილია, კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად;

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N965; 24.09.2013)** მონაწილე კონკურსანტი - **შპს „Live Design"** დისკვალიფიცირებულ იქნას;
3. კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად და მიენიჭოს სტატუსი: **„დასრულებულია უარყოფითი შედეგით";**
4. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატს დაევალა:
   3.1.წინამდებარე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა დადგენილი წესით, შედგენისთანავე.
   3.2. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე

N 318758469

ID 318758469

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შ.პ.ს. Live Design	
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	412683993	
ანგარიშის ნომერი	GE28PC0213600100014834	
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი"	კოდი: MIBGGE22
		თანხა ციფრებით 50.00
		თანხა სიტყვებით ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი
საბიუჯეტო/სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		
დასახელება	შ.პ.ს. Live Design	
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	412683993	
		☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
მიმღების დასახელება	სსიპ "კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო"	
ანგარიში / სახაზინო კოდი	GE52BR0000010591718543	
მიმღების ბანკი / ხაზინა	სს "ბანკი რესპუბლიკა"	კოდი: REPLGE22
		ბანკის აღნიშვნები ბანკში შემოსვლის თარიღი 03.10.2013 10:20
გადახდის დანიშნულება დამატებითი ინფორმაცია	ქუთაისში შერვაშიძის # 53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდ. ტერიტორიის განაშენიანების კონკურსში მონაწილეობის თანხა. უნიკალური ნომერი 950	
ხელმოწერები	ბეჭდის ადგილი	ხელმოწერა შტამპის ადგილი
	თარიღი: 03.10.2013	

MIBGGE22

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01/02-10/48751
29/10/2013

48751-01/02-10-2-201310291212

შპს „ლაივ დიზაინი"-ს დირექტორს

ბატონ მირზა ვაშაკიძეს

ბატონო მირზა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა 2013 წლის 16 სექტემბერს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებული ელექტრონული „კონკურსის" (**N950)** შედეგები და ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (13060,0 $მ^2$ მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.160 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე **და დაადგინა:**

1. **შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N965; 24.09.2013**) მონაწილე კონკურსანტი - **შპს „Live Design"** დისკვალიფიცირებულ იქნას;

პატივისცემით

გოგი ფაცაცია

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა